

ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევი

II თავი

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამები

(განახლებული რედაქცია - სექტემბერი, 2022 წ)

ბსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სრული ჩამონათვალი განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - www.bsu.edu.ge , ფაკულტეტების მიხედვით (ვებგვერდის ველი „ფაკულტეტები“ - „საგანმანათლებლო პროგრამები“).

საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები/კონცენტრაციები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები, მათ შორის, ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა – სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი პროგრამა;

სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) – დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმებისა და ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ;

რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა – ბსუ-ს პროგრამები: სამართლის, მედიცინისა და პედაგოგიური;

ბაკალავრიატი – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა** მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს.

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 360 კრედიტს.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 300 კრედიტს.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების **ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის** მიზანია დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება და მისი უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის მოპოვება ბსუ-ს საბაკალავრო, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე ან სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდეგში - **პირველ საფეხურზე**) შესაძლებელია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე აბიტურიენტისათვის.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილ აბიტურიენტთა სიაში აღნიშნულმა, ბსუ-ს შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა პირმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია ბსუ-ში. ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება რეგისტრაციის, სტუდენტის პირადი საქმის გახსნისათვის საჭირო დოკუმენტების წარმოდგენისა და სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების ვადები.

მაგისტრატურა აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურია და მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს.

ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის მოპოვება ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე (მაგისტრატურაში/აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე) ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე, მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დებულების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 2) ან/და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს ან რექტორის მიერ დადგენილი მაგისტრატურაში მიღების წესის შესაბამისად.

სამაგისტრო გამოცდა შედგება ორი ნაწილისგან: ა) საერთო სამაგისტრო გამოცდა; ბ) ბსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები (სპეციალობაში და უცხო ენაში).

საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგად (იმ შემთხვევაში, თუ ის საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახავს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრებს) გამოვლინდება მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც უფლებას მოიპოვებს მონაწილეობა მიიღოს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში.

ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის, გამოცდების ჩატარების წესი, ადგილი და ვადები, გამოცდების შედეგების გამოქვეყნების, მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულებების გაფორმებისა და ბსუ-ში ჩარიცხვის აქტის გამოცემის ვადები. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის ბრძანება და ბსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების შედეგები ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 3 (სამი) სასწავლო წელი და მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტის მოცულობით სასწავლო კომპონენტს.

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს, ასევე უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მიღება ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება: წარსადგენი საბუთების ნუსხა, წარდგენის ადგილი და ვადა; თითოეულ პროგრამაზე მისაღები გამოცდების (უცხო ენაში და გასაუბრება სპეციალობაში) ჩამონათვალი, მათი ჩატარებისა და გასაჩივრების ვადები;

დოქტორანტობის კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის მოეთხოვება:

- ა) სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია და სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა;
- ბ) ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა;
- გ) ქართული ენის არანაკლებ B1 დონეზე ცოდნა (იმ კანდიდატისათვის, რომლისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის და სურს სწავლა ქართულენოვან პროგრამაზე. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან ბსუ-ში ჩააბაროს გამოცდა ქართულ ენაში).

ბსუ-ში 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან ხორციელდება **ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (თსუ), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (აწსუ), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (თესაუ) ერთად.